

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით შპს „მთავარი არხის“ დაკვეთით ტარდება საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელსაც ახორციელებს საერთაშორისო კომპანია Ipsos S.A. (<https://www.ipsos.com/en>). Ipsos S.A. არის ავტორიტეტული და მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე ორგანიზაცია, რომელიც იცავს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმებს. ამ მიზნით, AAPOR (American Association of Public Opinion Researchers)-ის ეთიკის სტანდარტების დაცვითა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

1. კვლევაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანმიმდევრობა;
 - როგორი იყო ჯანდაცვის მიმართულებით მიღებული ზომები კორონას პანდემიის პირობებში?
 - როგორი იყო ეკონომიკის მიმართულებით მიღებული ზომები კორონას პანდემიის პირობებში?
 - გაუმკლავდა თუ ვერ მთავრობა კოვიდ-პანდემიას?
 - მომდევნო კვირას რომ საპარლამენტო არჩევნები გაიმართოს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას?
 - მომდევნო კვირას რომ საპარლამენტო არჩევნები გაიმართოს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას? (ალოკაციით მიღებული შედეგები)
 - როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო?
 - რამდენად კმაყოფილი ხართ დღევანდელი ხელისუფლების მუშაობით?
 - გინდათ თუ არა, რომ 2020 წლის არჩევნების შედეგად ხელისუფლება შეიცვალოს?
 - თუ კოალიციური მთავრობის ფორმირება მოხდა, რომელი პარტიები უნდა იყვნენ აუცილებლად კოალიციურ მთავრობაში? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის არჩევა)
 - თქვენი აზრით, რას წარმოადგენს დავითგარეჯას საქმე?
 - გჯერათ თუ არა ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას ბრალეულობის?
 - გჯერათ თუ არა, რომ მიხეილ სააკაშვილი იყო ჩართული აზერბაიჯანისთვის დავითგარეჯის ტერიტორიების უკანონოდ გადაცემაში?
 - რომელ ტელეარხს უყურებთ ყველაზე ხშირად?
 - რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ხელისუფლებამ უნდა მოაგვაროს? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის არჩევა)
 - მოქმედი ხელისუფლების პირობებში მდგომარეობა გაუმჯობესდა თუ გაუარესდა მომდევნო საკითხებში:
 - ეკონომიკა, ადამიანის უფლებები, განათლება, დემოკრატია, სახელმწიფო უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა, მედიის დამოუკიდებლობა, სიტყვის თავისუფლება, კორუფციასთან ბრძოლა, კრიმინალთან ბრძოლა, უმუშევრობა, პენსიები, ფასების ზრდა, ლარის გაუფასურება, სიღარიბე, ჯანდაცვა
2. სავლე კვლევის ჩატარების დრო: 2020 წლის 8 ოქტომბერი- 15 ოქტომბერი
3. გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი: 1507 რესპონდენტი, სტრატეგიული შემთხვევით შერჩევა, პირისპირ ინტრევიუ.
4. რა არეალში ან რა კატეგორიის ადამიანებში ჩატარდა შერჩევა: 18 + ასაკის რესპონდენტები, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, გამოკითხვის ჩატარების ადგილას
5. ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს: დიახ, [Response rate] 61%
6. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც კვლევაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს ან არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა:

	რაოდენობა	%
1. სახლში არავინ ცხოვრობს	501	
2. არავინ გააღო კარი, არავინ იყო სახლში	155	
3. ადამიანმა, რომელთანაც შედგა კონტაქტი უარი განაცხადა თანამშრომლობაზე	401	
4. შერჩეულ რესპონდენტს არ ჰქონდა ხმის მიცემის უფლება ინტერვიუს ჩატარების გეოგრაფიაში	295	
5. ბოლო დაბადების დღის მიხედვით შერჩეული რესპონდენტი არ იყო სახლში	102	
6. შერჩეულმა რესპონდენტმა უარი თქვა კვლევაში მონაწილეობაზე	191	
7. შერჩეულ რესპონდენტს არ შეემლო კვლევაში მონაწილეობა (ავად იყო/ და ა.შ)	75	
8. შერჩეული რესპონდენტი ყოველდღე გვიან ბრუნდება სახლში და ინტერვიუს ჩატარება არ არის შესაძლებელი	37	
9. სხვა მიზეზი	15	
10. წარმატებული ინტერვიუ	1507	
ჯამი	3279	61%

7. შერჩევის ზომა: 1507 დასრულებული ინტერვიუ

8. ცდომილების ფარგლები: +/- 2,5%

9. ინფორმაცია ნებისმიერი სხვა ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა კვლევის შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა-